განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შეფასების თარიღ(ებ)ი
25.01.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
06.03.2019

თბილისი
2019

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211325653
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**
განათლების საფეხური	1
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**1108** **თავისუფალ მეცნიერებათა ბაკალავრი**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ჯიბლაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ცაგარელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაღანიძე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა იაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტის (საუ) თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზანს, ქართულ საგანამანათლებლო სივრცეში თავი დაიმკვიდროს, როგორც მრავალპროფილურმა უნივერსიტეტმა. მეტიც, პროგრამას ამ მიზნის მიღწევაში საკვანძო ადგილი უჭირავს.

პროგრამას არ აქვს სპეციფიური დარგი, რომელზეცაა მორგებული და მომართული, არამედ პირიქით, მისდევს კლასიკური თავისუფალი მეცნიერებების სპეციფიკას და ამზადებს ადამიანებს, რომლებსაც ექნებათ სამყაროს მრავალმხრივ აღქმის და შემეცნების შესაძლებლობა, ექნებათ უნარი, სხვადასხვა სფეროში წარმოაჩინონ საკუთარი თავი და, ხშირ შემთხვევაში, შეასრულონ შემოქმედებით და ბიზნეს სფეროებს შორის დამაკავშირებელი რგოლის როლი. ამ თვალსაზრისით, ჰარმონიულად განვითარებული, კონსტრუქციული, პიროვნებების შემატებით, პროგრამას წვლილი შეაქვს უფრო ჯანსაღი საზოგადოების ამოყალიბებაში.

პროგრამა სტუდენტზე ორიენტირებული განათლების ნათელი მაგალითია. რასაც ორი გარემოება განაპირობებს: 1. პროგრამის სტუდენტები ორგანულად არიან საუნივერსიტეტო ეკო-სისტემაში ინტეგრირებული და სრულად მონაწილეობენ საუ-ს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. 2. პროგრამა მულტიდისციპლინური ხასიათისაა. მისი სხვადასხვა მოდულები ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში და მჭიდრო ურთიერთკავშირშია. სწვალების სტუდიური ფორმა სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის და მათ ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებზე ყურადღების გამახვილების საშუალებას იძლევა.

პროგრამას ყავს პირველი, სამი, კურსდამთავრებული, რომელთაგან ორი დასაქმებულია. ყოველწლიურად საშუალოდ პროგრამაზე იღებენ 30 სტუდენტს. მომდევნო წლებში სტუდენტთა სწავლის გაგრძელების დინამიკა კლებადია, რაც სტუდენტების მიერ სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გააზრებით აიხსნება. მაღალ კურსებზე სტატუს-შეჩერებულ სტუდენტთა არსებობა კი მათი დასაქმებით აიხსნება.

ჯამში, პროგრამა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებული ექსპერიმენტია, რომელიც შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს, ეხმიანება ქართულ საზოგადოებაში არსებულ საჭიროებებს და ცდილობს დამსაქმებლებში აამაღლოს ცნობადობა და გააჩინოს მოთხვონა ე.წ. გენერალისტებზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა 2019 წლის 25 იანვარს. ვიზიტი გამართა აკრედიტაციის ხუთ-კაციანმა ჯგუფმა (შემადგენლობა იხ. გვ.2-ზე). ვიზიტს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან კოორდინირებას უწევდა ლაშა მაჭარაშვილი. უნივერსიტეტში სამუშაო პროცესი დატვირუთლი სამუშაო დღის რეჟიმში წარიმართა. უნივერსიტეტის წარმომადგენლები ხელს გვიწყობდნენ მუშაობაში, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიწია სამუშაო დღის (სულ მცირე) 1

საათით გახანგრძლივება. დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა შეხვედრა შედგა და მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანამანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს ხუთივე სტანდარდტს, უწინარესად იმიტომ, რომ საუ-ს საუნივერსიტეტო დონეზე აქვს პროგრამის განვითარებაზე ზრუნვის მუდმივმოქმედი მექანიზმი, რის ფარგლებშიც პროგრამების, და ამ კონკრეტული პროგრამის, მუდმივი დახვეწა ხდება. აკრედიტაციის ჯგუფს მხოლოდ 4.1. ქვესტანდარტში აქვს პროგრამაზე მომუშავე გუნდისთვის განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო სხვა შემთხვევებში, პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის შეთავაზებულია რჩევები.

პროგრამის შეფასება მოხდა იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ხედავს პროგრამაზე მომუშავე გუნდი მისი განვითარების ვექტორს და როგორ მოიაზრება პროგრამის შემდგომი განვითარება მთლიანად უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციაში.

- **რეკომენდაციები**
  - საუ-მა უნდა უზრუნველყოს, რომ თავისუფალ მეცნიერებათა პროგრამაში მოწვეულ პერსონალს ჰქონდეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელიცოდნა, გამოცდილება და კომპეტენციები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია პროგრამის მომდევნო გადახედვის ფარგლებში, მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება, ხოლო ზოგის - ამოღება.
  - პროგრამის შედეგის: კურსდამთავრებულს „ეცოდინება საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნებების, ხატვის, არქიტექტურული პროექტირების, გეგმილური ხაზვის, მხაზველობითი გეომეტრიის თეორია და პრინციპები“ ზედმიწევნით ასახვისთვის, სასურველია, კურიკულუმს დაემატოს ვიზუალური ხელოვნების ისტორიის სასწავლო კურსი; ან მოხდეს პროგრამის ზემოთაღნიშნული სწავლის შედეგის სხვაგვარი ფორმულირება, დაზუსტება, იმისთვის, რომ მან პროგრამაში მძლავრი არქიტექტურის კომპონენტის ასახოს.
  - სასურველია, პროგრამის შინაარსი შეივსოს უფრო თანამედროვე თემატიკით, რაც სტუდენტებს მეტად გამოადგებათ იმისთვის, რათა დასაქმდნენ მასობრივი კომუნიკაციის, სარეკლამო, საზოგადოებასთან ურთიერთობის, დიზაინის, ტელე-კინოხელოვნებისსფეროებში, ანშეასრულონსაკონსულტაციოდაშემოქმედებითი (კრეატიული) მენეჯერისფუნქციები.
  - სასურველია, პროგრამის განვითარებაზე მომუშავე გუნდმა იმსჯელოს იმაზე, შეიტანოს თუ არა თანამედროვე თემატიკა, რადგან ეს კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობას გაზრდის, ისევე როგორც პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების როგორც საერთაშორისო მობილობის, ისე ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივებს
  - სასურველია, პროგრამის განვითარებაზე მომუშავე გუნდმა იმსჯელოს იმაზე, რომ ძირითად კურსებზე პირველწყაროების გარდა, ტექსტზე რეფლექსიისთვის

ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობასა და დამუშავებას, ასევე საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში შესაბამისი წყაროების მოძიებასა და გამოყენებას, რითაც გაუმჯობესდება სტუდენტის მიერ სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობისა და კვლევის უნარები.

- სასურველია, სილაბუსებში დაკონკრეტდეს, შეფასების რომელი კომპონენტით (შუალედურ/ებ/ი, დასკვნითი) ფასდება სწავლის ამა-თუ-იმ შედეგის მიღწევა.
- აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ უზრუნველყოფისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს პლაგიატის ელექტრონული სისტემის დანერგვაზე
- სასურველია, უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროგრამის პოპულარიზაციას, როგორც მომავალ სტუდენტებსა და მათ მშობლებში, ასევე დამსაქმებლებში. პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, მისი ცნობადობის გაზრდა ხელს შეუწყობს დამსაქმებელთა მხრიდან პროგრამაში ჩართული სტუდენტების ღირსებებისა და უნიკალური პროფესიული თვისებების დანახვას.
- სასურველია, არსებობდეს აკადემიური პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების გამჭვირვალე და სამართლიანი მექანიზმი.
- გარე ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად შესაძლებელია განხილული იყოს პროგრამის შეფასება უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ, რაც საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებას იძლევა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - მობილობის შემთხვევაში სტუდენტთან გასაუბრება მისი მოტივაციის გარკვევის მიზნით
  - გაცნობითი (3 დღიანი) შეხვედრები დაინტერესებული პირების/აბიტურიენტებისთვის
  - კურსების მოცულობა (კრედიტები) სხვადასხვაგვარია, რაც კურსების შემუშავების გამართულ მეთოდოლოგიაზე და მის გააზრებულ გამოყენებაზე მიუთითებს..
  - დამატებითი სპეციალობის - მაინორის - კურსების (20 კრედიტი) გასავლელად სტუდენტს არ უწევს დამატებითი თანხის. ასევე, სტუდენტს შეუძლია, გაიაროს ინგლისური ენის დამატებით 2 კურსი (14 კრედიტი), დამატებით თანხის გადახდის გარეშე.
  - აკადემიური მუშაობის ტექნიკების კურსი (სახელწოდებით: კრიტიკული შინაარსის აკადემიური ნაშრომი) შეთავაზებულია მერვე (და არა პირველ ან მეორე) სემესტრში და იკითხება დარგის სპეციალისტის მიერ, რომელიც პროგრამის ძირითადი ბლოკის კურსებს კითხულობს და, ამრიგად, იცნობს დარგის აკადემიურ სტანდარტებს.
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა საჩვენებელი ლექციის საფუძველზე
  - ხარისხის კულტურა, რომელიც ეყრდნობა მცირე ბიუროკრატიის პრინციპს და გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტებისინტეგრირებას საგანამანათლებლო პროცესში ჩართული რგოლების ყოველდღიურ მუშაობაში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პერიოდული გადახედვისას პროგრამაში შევიდა ცვლილებები შინაარსის დახვეწის და სტუდენტებისთვის სწავლის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით. მათ შორის რამდენიმეა ნიშანდობლივი:

- კვლევით კომპონენტის გაძლიერება სტუდენტების შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე წარმატების ნიშნულის გასაუმჯობესებლად
- გაიყო ერთი, სახვითი ხელოვნების მოდული, ორად
- ბერძნული ენის გაძლიერებული კურსი გახდა არჩევითი
- დამამთავრებელი ნაშრომის გარდა, სტუდენტებს საშუალება მიეცათ შეასრულონ შემოქმედებით პროექტი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის (საუ) თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა ეყრდნობა ლიბერალური და კლასიკური განათლების პრინციპებს და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სტუდენტის ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებად ჩამოყალიბებას. შესაბამისად, პროგრამა ემსახურება სტუდენტებში ფართო სპექტრის უნარების გამოვლენასა და განვითარებას და ცოდნის გადაცემას შემდეგი ოთხი მიმართულებით: სიტყვიერება, საშემსრულებლო ხელოვნება, ვიზუალური ხელოვნება, და მედიევისტურ (ფილოლოგიურ/ისტორიულ) კვლევა. შინაარსობრივად, პროგრამა ეყრდნობა თავისუფალი მეცნიერებების შუასაუკუნეობრივ, ვიდრე ამჟამად გავრცელებული თავისუფალი მეცნიერებების დასავლურ ხედვას (დეტალურად იხ. 2.2), რაც პროგრამის ხელმძღვანელის გამიზნული არჩევანია. ის საუ-ში განხორციელება ემსახურება უნივერსიტეტისსტრატეგიულ მიზანს, ქართულ საგანამანათლებლო სივრცეში თავი დაიმკვიდროს, როგორც მრავალპროფილურმა უნივერსიტეტმა (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა, 2018). მეტიც, უნივერსიტეტის ეს მიზანი პროგრამას საკვანძო მნიშვნელობას სძენს. პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ქუდ-ქვეშ ხორციელდება და ამასაც ფუნქციური დატვრითვა აქვს - ფაკულტეტის მმართველი გუნდის მიერ დანახული საჭიროებიდან გამომდინარეობს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებს აკლიათ შემოქმედებითი აზროვნება, ხოლო ე.წ. ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებს - ბიზნეს-ალღო და ხედვა. თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ამ ფაკულტეტის ქვეშ მოთავსება მიზნად ისახავს ამ დანაკლისის დაძლევას. პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომ განუვითარონ სტუდენტებს „კრიტიკული აზროვნება, რათა ახალი იდეებითა და აღმოჩენებით შეძლონთვითრეალიზცია და მონაწილეობა მიიღონ შემეცნების საზოგადო პროცესში. [...] სტუდენტებს ჩამოუყალიბოს თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული

ღირებულებები, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა გარემოში ორიენტირება და ადაპტირება, მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები დაშემოქმედებითად მიუდგნენ იმ გამოწვევებს“ (საუ სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა, 2018, გვ 7). პროგრამას არ აქვს სპეციფიური დარგი, რომელზეცაა მორგებული და მომართული, არამედ ამზადებს ადამიანებს, რომლებსაც სამყაროს მრავალმხრივი აღქმისა და შემეცნების უნარი და შესაძლებლობა ექნებათ. ამ თვალსაზრისით, ჰარმონიულად განვითარებული, კონსტრუქციული პიროვნებების შემატებით, პროგრამას წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები რეალისტურია და მიღწევადი. კურსდამთავრებულების და სტუდენტების რეფლექსია მათ საგანმანათლებლო გამოცდილებაზე ამას მოწმობს. ასევე ყურადსაღებია დამსაქმებლების მწირი გამოცდილება (პროგრამას ჯერ მხოლოდ 3 კურსდამთავრებული ყავს), თუმცა საგულისხმო მიგნება, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებული გამოირჩევა დამოუკიდებელი მუშაობით, შემოქმედებითი ხედვით და ინიციატივით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საუ სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა, 2018
- პროგრამის აღწერა
- კურიკულუმი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობა უნივერსიტეტის ხედვასა და მისიას. პროგრამას აქვს სამი მსხვილი მიზანი: სტუდენტს მისცეს კლასიკური საბაზო უმაღლესი განათლება თავისუფალი მეცნიერებების პრინციპებზე დაყრდნობით და ხელი შეუწყოს მის ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებად ჩამოყალიბებას; მოამზადოს სტუდენტი გონებრივად და უნარ-ჩვევებით სწრაფად ცვალებად გარემოში ეფექტურად ნავიგაციისთვის; განუვითაროს კლასიკური ფილოლოგიისა და მედიევისტიკის, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნებების მეცნიერული კვლევისთვის აუცილებელი საბაზო უნარ-ჩვევები და ცოდნა და მოამზადოს შემდეგ საგანმანათლებლო საფეხურის შესატყვისი კვლევისთვის. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდაა განსაზღვრული და წარმოადგენს ამ სამი მსხვილი მიზნის ოპერაციონალიზაციას. თუმცა, რიგ შემთხვევებში სწავლის შედეგები ზედმეტად დაწვრილმანებულია, და ზოგან გვხვდება განმეორებები (შესაძლოა, ეს თითოეულ კურსში მისაღწევი შედეგების პროგრამის შედეგების დონეზე ასახვის მიზეზით მოხდა). ამდენად, სასურველია პროგრამის მომდევნო გადახედვის ფარგლებში, მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება, ხოლო ზოგის - ამოღება (მაგ. გადაფარვაა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და კომუნიკაციის უნარების ჩამონათვალში, შესაძლოა სწავლის უნარში ჩამოთვლილი შედეგების ერთ შედეგად გაერთიანება). პროგრამის ფარგლებში თითოეული კურსის სწავლის შედეგების განსაზღვრა ხდება მომიჯნავე კურსების ლექტორებთან ერთად, რაც ამცირებს საფრთხეს, რომ ცალკეული კურსების და პროგრამის სწავლის შედეგები აცდენილი იყოს ერთმანეთისგან და უზრუნველყოფს პროგრამის მთლიანობას არა მხოლოდ ხედვის და მიზნების, არამედ სწავლის შედეგების და მათი მიღწევის დონეზე. პროგრამის ფარგლებში შედეგების შეფასება ძირითადად ორი სახით ხდება, როგორც 1. კურსის ფარგლებში შუალედური და საბოლოო დავალებით, ასევე 2. პრაქტიკული ან სადემონსტრაციო პროექტით და/ან საბოლოო აკადემიური ნაშრომით. თუ პირველი კურსის ფარგლებში განსაზღვრულ სწავლის შედეგებს ზომავს, მეორე - კომპლექსურად, სხვადასხვა კურსის ფარგლებში მიღებულ ცოდნას და გამჭოლ უნარებს, და სწავლილის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას იძლევა. ამასთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად კრებს დამსაქმებელბისგან უკუკავშირს კურსდამთავრებულების (ან სტუდენტების) შესახებ, პროგრამის ხელმძღვანელი, ისევე როგორც პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში სისტემატურად იღებს უკუკავშირს

სტუდენტებისგან. დამატებით, ფორმალური გზით მიღებული მონაცემები (გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფების შედეგად შეგროვილი მასალა) თავს იყრის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან. ამ, ფორმალიზებული თუ არაფორმალიზებული გზით დაგროვილი, უკუკავშირის ანალიზის შედეგად ხდება პროგრამის გადახედვა და დახვეწა. ამ ის მაგალითია პროგრამის სწავლის შედეგებში კვლევის კომპონენტის გამოკვეთა; პროგრამაში მსხვილი საგნების დაშლა და პრაქტიკული პროექტის დამატება, მოხდა არქიტექტურული პორექტირება/მაკეტირება/ქანდაკების კომპონენტის გაძლიერება/გაღრმავება, არქიტექტურის ისტორიის კურსის დამატება (ჩამონათვალი ასევე იხ. 3.1-ში).

საყურადღებოა, რომ ამ ბოლო ცვლილებამ - არქიტექტურის მიმართლებით კურსების დამატებამ - მთლიანად პროგრამაში არქიტექტურის ხვედრით წილი გაზარდა. თუმცა, პროგარმის მიზნებში განსაზღვრულია, რომ კურსდამთავრებულს „ეცოდინება საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნებების, ხატვის, არქიტექტურული პროექტირების, გეგმილური ხაზვის, მხაზველობითი გეომეტრიის თეორია და პრინციპები." ამ ფორმულირებით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ვიზუალური ხელოვნების და არქიტექტურული პროექტირების თეორიას და პრინციპებს სტუდენტი თანაბარად უნდა დაეუფლოს, მაგრამ სილაბუსების გაცნობისას და ინტერვიუების შემდეგ ცხადი გახდა, რომ კურიკულუმში ეს თანაფარდობა ვიზუალურ ხელოვნებასა და არქტიტექტურას შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდაა დარღვეული. ამდენად, სასურველია, კურიკულუმს დაემატოს ვიზუალური ხელოვნების ისტორიის სასწავლო კურსი, რათა პროგრამის შინაარსი ამ მხრივაც სრულად შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს. სხვა შემთხვევაში, პროგრამის ზემოთაღნიშნული სწავლის შედეგის სხვაგვარი ფორმულირება, დაზუსტებაა საჭირო, რომ მან დღევანდელი პროგრამის შინაარსობრივი სტრუქტურა უკეთ ასახოს.

ჯამში, პროგრამა გადის დასახულ შედეგებზე. კომპეტენციების რუკა რეალისტურად ასახავს ამა თუ იმ კომპეტენციის მიღწევის შესაძლებლობას სხვადასხვა კურსის ფარგლებში. პროგრამის (ზოგადი, საბაზო და ძირითადი განათლების მოდულების) ფარგლებში წარმოდგენილი თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურით გათვალისწინებულ ცოდნასთან, უნარებსა და დამოკიდებულებებთან. ფორმულირებული სწავლის შედეგები რეალისტური და გაზომვადია. სწავლის შედეგების შეფასების პროგრამის შიდა და გარე შეფასების მოდელი ქმედითია და გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერა
- კომპეტენციების რუკა
- თვითშეფასების ანგარიში
- საუ სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამის მომდევნო გადახედვის ფარგლებში, მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება, ხოლო ზოგის - ამოღება. პროგრამის შედეგის: კურსდამთავრებულს „ეცოდინება საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნებების, ხატვის, არქიტექტურული პროექტირების, გეგმილური ხაზვის, მხაზველობითი გეომეტრიის თეორია და პრინციპები“ ზედმიწევნით ასახვისთვის, სასურველია, კურიკულუმს დაემატოს ვიზუალური ხელოვნების ისტორიის სასწავლო კურსი; ან მოხდეს პროგრამის ზემოთაღნიშნული სწავლის შედეგის სხვაგვარი ფორმულირება, დაზუსტება, იმისთვის, რომ მან პროგრამაში მძლავრი არქიტექტურის კომპონენტის ასახოს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებ ლოპროგრამისმ იზანი, სწავლისშედეგე ბიდამათთანპრ	X			

ოგრამისშესაბამ ისობა				

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და საერთო ეროვნული გამოცდების ჩაბარება, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამაზე სათანადო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა ჩარიცხვა. ზოგადი განათლება როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურ კავშირშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ამასთან, სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ პროფესორები დამატებითი შეხვედრების ფარგლებში მუდმივად ეხმარებიან სტუდენტებს, დაძლიონ კონტრასტი, რომელიც თავს იჩენს სასკოლო და საუნივერსიტეტო საფეხურებს შორის და შეძლონ დისციპლინისა და მძიმე საათობრივი დატვირთვის პირობებში ადაპტირება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. საუ-ში ჩარიცხვის პროცედურა განსაკუთრებით დახვეწილია მობილობის შემთხვევაში: მსურველები ვალდებულნი არიან, გაიარონ გასაუბრება და დაასაბუთონ თავისუფალ მეცნიერებათა პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია. თუმცა უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა შიდა და გარე მობილობის მაჩვენებლების კლება, რაც ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ ახსნილი იქნა პროგრამის ცნობადობის ზრდით. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები აღწერილია თავად პროგრამაში, რომელიც განთავსებულია საუ-ის ვებ-გვერდზე და, ამრიგად, საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ამასთან, ინფორმაცია პროგრამისა და მასზე დაშვების წინაპირობების შესახებ ეფექტიანად ვრცელდება ე.წ. გაცნობითი შეხვედრების დროს, რაც დადასტურდა როგორც ინტერვიუებით, ისე საუ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • ვებგვერდი: http://www.agruni.edu.ge/ge/node/795 • საუ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

• ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): • მობილობის შემთხვევაში სტუდენტთან გასაუბრება მისი მოტივაციის გარკვევის მიზნით • გაცნობითი (3 დღიანი) შეხვედრები
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თავისუფალ მეცნიერებათა პროგრამა შექმნილია ლიბერალური და კლასიკური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით, როგორც ეს საუ-ის ხედვაშია წარმოდგენილი, და ასახავს უნივერსიტეტის სწრაფვას მრავალპროფილურობისაკენ. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამის განვითარება მუდმივი პროცესია და მასში ჩართულია ფაკულტეტის ყველა

აკადემიური და ადმინისტრაციული რგოლი. ნებისმიერი განსახორციელებელი ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პროფესორ-მასწავლებლების, რექტორის, პრორექტორების, კანცლერის, დეკანის, ასოცირებული დეკანის, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერისა და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულთა უშუალო თანამონაწილეობით. ამგვარი გადაწყვეტილებები (მაგალითად, კვლევითი კომპონენტის გაძლიერება კვლევითი განაცხადის მომზადების კურსის ჩართვით პროგრამაში, ძველი ბერძნული ენის კურსისთვის არჩევითი საგნის სტატუსის მინიჭება, მსხვილი საგნების დაშლა, ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული კურსების შეთავაზება არჩევით მოდულში, პრაქტიკული პროექტის დამატება კურიკულუმში და სხვა) ხშირად განპირობებულია სტუდენტების საჭიროებებით, მათ მიერ გამოთქმული სურვილებითა და შენიშვნებით. ამ პროცესში გათვალისწინებულია ასევე დამსაქმებლების მოსაზრებები და საჭიროებები, რაც დასტურდება საუ-ის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის შედეგებით.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა (240 კრედიტი) და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურს, სახელდობრ, კურიკულუმში დიდი ადგილი (50 კრედიტი) ეთმობა ე.წ. საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების ბლოკს, რომელიც ე.წ. ზოგადი განათლების (22 კრედიტი), საბაზო განათლებისა (47 კრედიტი) და ძირითადი განათლების (102) ბლოკებთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტისთვის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გადაცემას და ამზადებს მას მომდევნო, სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, ან დასაქმებისთვის.

პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია სრული ზოგადი განათლება და საერთო ეროვნული გამოცდების ჩაბარება როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამა მიმართულია სწორედ სტუდენტთა ზოგადი განათლების დონის ამაღლებასა (თვალსაწიერის გაფართოება, მათი ჩამოყალიბება ე.წ. „გენერალისტებად“) და მათ მომზადებაზე პროფესიული საქმიანობისთვის.

პროგრამაში — უფრო ზუსტად კი მის საბაზო და ძირითად მოდულებში — პირობითად შეიძლება გამოიყოს კურსები, რომლებიც დაკავშირებულია 1. მეტყველებასთან / სიტყვიერებასთან, 2. პერფორმანსთან, 3. ვიზუალურ ხელოვნებასთან, ან 4. მედიევისტურ (ფილოლოგიურ/ისტორიულ) კვლევასთან. ამ საგნობრივი ჯგუფების ფარგლებში მიღებული ცოდნითა და გამომუშავებული უნარებით უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება. აღნიშნული კომპეტენციები, მართალია, შეესაბამება თავისუფალი მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაციას, მაგრამ აშკარაა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეყრდნობა თავისუფალ მეცნიერებათა ერთობ ვიწრო, შუასაუკუნეობრივ გაგებას (Septem Artes Liberales), და არა მის მოქმედ დასავლურ ანალოგებს (Liberal Arts), რომელთა შინაარსებიც, ერთი მხრივ, (სახვითსა და საშემსრულებლო) ხელოვნებასთან ერთად (და ხშირად მასზე უფრო მეტადაც) მოიცავს ლიტერატურას, კინოხელოვნებას, ფილოსოფიასა და სოციალურ მეცნიერებებს / პოლიტიკას, და მეორე მხრივ, უფრო მეტადაა ფოკუსირებული თანამედროვეობაზე.

პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრობა მისდევს წინასწარ დადგენილ სემესტრულ გეგმას, რომელშიც გარკვეული ლოგიკა შეინიშნება: პირველ სემესტრში უმეტესწილად

შეთავაზებულია კურსები ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების ბლოკიდან; მეორე და მესამე სემესტრში მკვეთრად იზრდება ე.წ. თავისუფალი მეცნიერებების ზოგადი და საბაზო განათლების კურსების ხვედრითი წილი, რომლებიც მომდევნო სემესტრებში ადგილს უთმობს კურსებს თავისუფალი მეცნიერებების ძირითადი განათლების ბლოკიდან. მეშვიდე და მერვე სემესტრებში კი ამ ბლოკის კურსებს ემატება პრაქტიკული კომპონენტი (პროექტი). კურსების გარკვეული ნაწილი დანომრილია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი საფეხურებრივ ურთიერთმიმართებაშია (მაგალითად, *კითხვის სემინარი 1* და *2*; *პერფორმანსი და მეტყველება 1, 2, 3, 4* და სხვა). კურსების თანმიმდევრული გავლა მოწესრიგებულია ასევე წინაპირობებითაც, რომლებიც მითითებულია სილაბუსებში (მაგალითად, *მედიევისტიკის* კურსის წინაპირობაა *კითხვის სემინარი 2*).

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრასფერის სისტემის შესაბამისად და მოიცავს 240 კრედიტს, რაც შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ. საუ-ში თითო კრედიტი შეესაბამება სტუდენტის ოცდაათსაათიან დატვირთვას. ამასთან, კურსების მოცულობა არაა ერთგვაროვანი: გვხვდება ორკრედიტიანი, სამკრედიტიანი, ოთხკრედიტიანი, ხუთკრედიტიანი, ექვსკრედიტიანი და შვიდკრედიტიანი კურსები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თითოეული კურსის მოცულობა დგინდება ინდივიდუალურად მისი მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. იმის მიუხედავად, რომ კრედიტები სხვადასხვაგვარადაა სემესტრებზე განაწილებული (ზოგ სემესტრში სტუდენტის დატვირთვა 35 კრედიტის ტოლია, ზოგში - 25-ისა), სტუდენტის დატვირთვა არც ერთ სასწავლო წელს არ აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ 75 კრედიტს.

პროგრამით გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტის (არჩევითი საგნები) არჩევა 16 კრედიტის მოცულობით. არჩევითობა უზრუნველყოფილია შესაბამის ბლოკში წარმოდგენილი კურსების რაოდენობით (ამჟამად — 20 კურსი, 80 კრედიტი). სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს აქვს უფლება, თავისუფალი კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტები მოახმაროს დამატებითი (მაინორ) სპეციალობის დაუფლებას, რომელიც საუ-ში 36-კრედიტიანია. დამატებითი სპეციალობის დანარჩენი კურსების (20 კრედიტი) გასავლელად მას არ მოუწევს თანხის გადახდა. ასევე უფასოდ სტუდენტს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, გაიაროს ინგლისური ენის დამატებით 2 კურსი (14 კრედიტი).

პროგრამა და კურიკულუმის აღწერა განთავსებულია საუ-ის ვებ-გვერდზე და, ამრიგად, საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საუ-ის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- ვებ-გვერდი: http://www.agruni.edu.ge/ge/node/795
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პროგრამის შინაარსი შეივსოს უფრო თანამედროვე თემატიკით, რაც სტუდენტებს მეტად გამოადგებათ იმისთვის, რათა დასაქმდნენ მასობრივი კომუნიკაციის, სარეკლამო, საზოგადოებასთან ურთიერთობის, დიზაინის, ტელე-კინოხელოვნებისსფეროებში, ანშეასრულონსაკონსულტაციოდაშემოქმედებითი (კრეატიული) მენეჯერისფუნქციები. • სასურველია, პროგრამის განვითარებაზე მომუშავე გუნდმა იმსჯელოს იმაზე, შეიტანოს თუ არა თანამედროვე თემატიკა, რადგან ეს კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობას გაზრდის, ისევე როგორც პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების როგორც საერთაშორისო მობილობის, ისე ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივებს
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): • კურსების მოცულობა (კრედიტები) სხვადასხვაგვარია, რაც კურსების შემუშავების გამართულ მეთოდოლოგიაზე და მის გააზრებულ გამოყენებაზე მიუთითებს.. • დამატებითი სპეციალობის - მაინორის - კურსების (20 კრედიტი) გასავლელად სტუდენტს არ უწევს დამატებითი თანხის. ასევე, სტუდენტს შეუძლია, გაიაროს ინგლისური ენის დამატებით 2 კურსი (14 კრედიტი), დამატებით თანხის გადახდის გარეშე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის (ზოგადი, საბაზო და ძირითადი განათლების მოდულების) ფარგლებში წარმოდგენილი თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება იმავე კურსის სწავლის შედეგებს, რომლებიც თავის მხრივ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების პირველი (ე.ი. საბაკალავრო) საფეხურით გათვალისწინებულ ცოდნასთან, უნარებსა და დამოკიდებულებებთან.

სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი საკონტაქტო საათების რაოდენობა საკმაოდ დიდია (გვხვდება კურსები, რომლებშიც 44, 63, 92, 117, 123 საკონტაქტო საათია გამოყოფილი) ისე, რომ კვირაში სტუდენტს საშუალოდ 25-30 საათის დათმობა უწევს ლექცია-სემინარებისთვის. თუმცა სტუდენტთა დატვირთვის ამგვარი განაწილება განპირობებულია კურსების უმეტესობის ფორმატით / სწავლა-სწავლების მეთოდით (სემინარი, პრაქტიკუმი), რომელიც პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება. ამრიგად, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა კურსების სპეციფიკით აიხსნება და ადეკვატურია.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება შეფასების შუალედური და დაკვნითი კომპონენტებით, რომლებიც სხვადასხვაგვარია თითოეულ კურსში მისი მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა თავისი შინაარსითა და მოცულობით შეესაბამება კურსების სწავლის შედეგებს. თუმცა რთულია, შეფასდეს, რამდენად ეყრდნობა თავისუფალი მეცნიერებების პროგრამის (უწინარესად, მისი ზოგადი, საბაზო და ძირითადი განათლების ბლოკების) ფარგლებში წარმოდგენილი კურსები დარგის თანამედროვე მიღწევებსა და ახალი კვლევის შედეგებს, რადგან სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა უმეტესად შემოიფარგლება პირველადი (ლიტერატურული, ისტორიოგრაფიული, ფილოსოფიური და სხვა) ტექსტებით, რომელთა წაკითხვას, თარგმნასა და კრიტიკულ განხილვას ეთმობა როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი დრო, ხოლო აქტუალური სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შეიცავს რეფლექსიას პირველად ტექსტებსა თუ არტეფაქტებზე, არ არის მხედველობაში მიღებული (ამ მხრივ, გამონაკლისია *შესავალი აკადემიურ კვლევაში*). ამაზე მიანიშნებს ისიც, რომ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებით არ დადასტურდა მათ მიერ საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პროგრამის განვითარებაზე მომუშავე გუნდმა იმსჯელოს იმაზე, რომ ძირითად კურსებზე პირველწყაროების გარდა, ტექსტზე რეფლექსიისთვის ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობასა და დამუშავებას, ასევე საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში შესაბამისი წყაროების მოძიებასა და გამოყენებას, რითაც გაუმჯობესდება სტუდენტის მიერ სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობისა და კვლევის უნარები. • სასურველია, სილაბუსებში დაკონკრეტდეს, შეფასების რომელი კომპონენტით (შუალედურ/ებ/ი, დასკვნითი) ფასდება სწავლის ამა-თუ-იმ შედეგის მიღწევა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): აკადემიური მუშაობის ტექნიკების კურსი (სახელწოდებით: *კრიტიკული შინაარსის აკადემიური ნაშრომი*) შეთავაზებულია მერვე (და არა პირველ ან მეორე) სემესტრში და იკითხება დარგის სპეციალისტის მიერ, რომელიც პროგრამის ძირითადი ბლოკის კურსებს კითხულობს და, ამრიგად, იცნობს დარგის აკადემიურ სტანდარტებს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ სასწავლო კურსებს. თითოეული მათგანის მოცულობა კრედიტებში ინდივიდუალურად, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით არის განსაზღვრული.უმეტეს მათგანში საკონტაქტო

საათების საგრძნობლად დიდი რიცხვი უმეტესწილად სწორედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „ხელით კეთების“ უმნიშვნელოვანესი უნარის გამომუშავებითაა განპირობებული. ზოგადად, პროგრამის დიდაქტიკური კონცეფცია ხაზგასმით ანიჭებს უპირატესობას საკუთარი ხელით შექმნილი ნამუშევრის (მაგ., ნიმუშის ასლის ძერწვა, ხაზვა და სხვ.) მნიშვნელობას. კლასიკური განათლების ეს მეთოდი, ცხადია, აპრობირებულია და ესოდენ ტექნოკრატიულ თანამედროვე ეპოქაში გარკვეულ ხიბლს სძენს პროგრამას. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობად არ არის განსაზღვრული შემოქმედებითი (კონკრეტულად, ხატვის) უნარის შემოწმება, თუმცა სასწავლო პროცესში სტუდენტები სწავლობენ კლასიკურ ხატვას. მათ ასწავლიან ნახატის აგებას, პროპორციას, მასშტაბს, შეფარდებას და ამ სასწავლო კურსის მიზანს წარმოადგენს არა შემოქმედებითი თვითრეალიზება, არამედ ხატვის კლასიკური პრინციპების ათვისება. სწავლების პროცესში სტუდენტთა მიერ მიღწეული პროგრესი მოწმობს, რომ წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა სრულად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას. სტუდენტები ეცნობიან კვლევით მეთოდებს და მათ თავადაც მოეთხოვებათ სხვადასხვა მასშტაბის კვლევითი პროექტების ჩატარება რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში. ყურადღება ექცევა მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც, როგორც სასწავლო კურსების ფარგლებში (მაგ., სასწავლო კურსები პერფორმანსი, მუსიკა), ასევე კურიკულუმისგან დამოუკიდებელ აქტივობებში, როგორიცაა სტუდენტური წარმოდგენები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • უნივერსიტეტის მატერიალური ბაზა • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსების მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სწავლისა და სწავლების მეთოდები: ვერბალური, ახსნა-განმარტებითი, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ჯგუფური მუშაობის, გონებრივი იერიშის, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაში და სხვ. სწავლების ფორმატი ხშირად განსაზღვრულია პრეზენტაციის, ნამუშევრის საუდიტორიო გარჩევა/ანალიზის ფორმით. აქ ჩამოთვლილი ან სასწავლო კურსის პედაგოგის მიერ კურსის სპეციფიკის შესაბამისად არჩეული რომელიმე განსხვავებული მეთოდი შეესაბამება სწავლის საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას; ის მრავალკომპონენტიანია, შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებისაგან. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური და დასკვნითი შეფასებების შინაარსი, ფორმატი, მეთოდები და კრიტერიუმები თითოეული სასწავლო კურსის თავისებურებებს ითვალისწინებს და, ამდენად, განსხვავდება ერთმანეთისგან. შეფასების მრავალფეროვან კომპონენტთა შორისაა ქვიზი, წერითი სამუშაო, დისკუსიაში მონაწილეობა, საშინაო დავალება, სასემინარო მუშაობა და სხვ. თითოეულ კომპონენტს ახლავს ქულათა გრადაცია, რომელთა გაცნობის შემდეგ სტუდენტს ექმნება წარმოდგენა შეფასების სისტემისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. აღსანიშნავია, რომ შეფასების ნებისმიერ ფორმაში შეიძლება გამოყენებული იყოს ღია ან დახურული წიგნის პრინციპი; პირველ შემთხვევაში დაშვებულია ნებისმიერი სახის სასწავლო რესურსის გამოყენება, რადგან შეუძლებელია მზა პასუხის მოძებნა, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოიყენება ტესტური შეფასების ფორმა.სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია გამოცდაზე მიღებული ქულის გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ობიექტური, სამართლიანი შეფასებისათვის. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას ანუ პლაგიატის აღმოჩენას უზრუნველყოფენ საგამოცდო ნაშრომებზე/ტესტებზე წვდომის მქონე ლექტორები/თანამშრომლები. პლაგიატის თუ არაკეთილსინდისიერი ქმედების დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს სრულად უბათილდება კურსის შეფასება და მან კურსი ხელახლა უნდა გაიაროს. ეს არის საუნივერსიტეტო პოლიტიკის ნაწილი, თუმცა ამ პროგრამის ფარგლებში მსგავსი შემთხვევები არ დაფიქსირებულა. შეფასების მეთოდთა და კომპონენტთა ამგვარი მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა ობიექტურად და გამჭვირვალედ შეფასდეს სტუდენტთა მიღწევები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა

• სტრატეგიული მიმართულებების მიმოხილვა და გეგმა • სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ უზრუნველყოფისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს პლაგიატის ელექტრონული სისტემის დანერგვაზე
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი დროულად და მუდმივად იღებს საჭირო ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, ასევე, უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებზე. სტუდენტები დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იღებენ სათანადო კონსულტაციებს, რომლის მიწოდებასაც მეტწილად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა დეკანატის თანამშრომელი, დასაქმების მენეჯერი. სტუდენტებს საშუალება აქვთ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მომსახურების მეშვეობით ისწავლონ როგორც რეზიუმეს შედგენა, ასევე გასაუბრების პროცესში მონაწილეობა. უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება დასაქმების ფორუმები, სადაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დამსაქმებელთა ფართო სპექტრის მონაწილეობას. სტუდენტები დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე ინფორმაციასიღებენ სწავლის პერიოდში და მისი დასრულების შემდეგაც.დასაქმების ოფისი რეგულარულად აახლებს მონაცემებს სტუდენტების დასაქმების/კარიერული ზრდის შესახებ. სტუდენტთა დეკანი ასევე დამსაქმებლებისგან კრებს უკუკავშირს სტუდენტების და კურსდამთავრებულების შესახებ . სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, სურვილის შემთხვევაში, მათ შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებში. სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სტუდენტები ინფორმაციას იღებენ როგორც ფაკულტეტის დეკანისგან, ასევე პროგრამის კოორდინატორისგან და სტუდენტების დეკანისგან. ხოლო აკადემიურ ნაწილში მათ ინფორმირებულობაზე ზრუნავს როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე პროგრამაში ჩართული თითოეული პროფესორ-მასწავლებელი. სტუდენტები მუდმივად იღებენ უკუკავშირს პროფესორ-მასწავლებლებისგან მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით. აქტიურად გამოიყენება ელექტრონული მიმოწერის საშუალებებიც. სტუდენტთა რეკომენდაციები გათვალისწინებულია პროგრამის განვითარების პროცესში. ინტერვიუს დროს კურსდამთავრებულები და სტუდენტები ადასტურებდნენ პროგრამის ყოველწლიურ ცვლილებას უკეთესობისკენ; რომ პროგრამის გაუმჯობესებისკენ სწრაფვა აისახება სტუდენტებთან მჭიდრო ურთიერთობით და მათი აზრის გათვალისწინებით. მაგალითად: მოითხოვეს არქიტექტურული პორექტირება/მაკეტირება/ქანდაკების უფრო ღრმა კურსის გავლა, ამიტომ პროგრამას დაემატა მე-2 კურსზე სავალდებულო, ხოლო მე-3

და მე-4 კურსებზე შესაბამისი არჩევითი კურსები; მოითხოვეს არქიტექტურის ისტორიის კურსის დამატება, მათი სურვილის გათვალისწინებით პროგრამას დაემატა მუსლიტერატურისა და მუსიკის ელემენტარული თეორიის კურსი; მე-2 კურსზე - სასცენო ხელოვნება და პიესაზე მუშაობა, როგორც არჩევითი კურსი; მოითხოვეს მე-4 კურსზე - კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების დამატება; მიეცათ თავისუფლება შეხედულებისამებრ აერჩიათ სადემონსტრაციო პროექტი და სხვ. სტუდენტებს აქვთ საშუალება ანონიმურად შეაფასონ კონკრეტული საგანი, გაუზიარონ ნებისმიერი სახის მოსაზრება უნივერსიტეტის სტუდენტების დეკანს, რომელიც მთავარი საკონტაქტო პირია სტუდენტისთვის. სტუდენტებს სრული წვდომა აქვთ უნივერსიტეტში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, სასწავლო მასალები მათთვის ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური სახით, ასევე, ელექტრონული ფორმატით. სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ აქვთ საჭირო შემოქმედებითი სივრცეები და ხელსაწყოები როგორც ჯგუფური, ასევე, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. საუ-ს მრავალწლიანი ურთიერთობა აქვს დამსაქმებელთა ფართო სპექტრთან და დამკვიდრებული აქვს ძლიერი საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაცია. უნივერსიტეტი ძალისხმევას არ იშურებს, რომ ეს რეპუტაცია შეინარჩუნოს და განამტკიცოს. საუ-ს კარგად ესმის, რომ თავისუფალი მეცნიერებების ხარისხის ცნობადობა დაბალია დამსაქმებლებს შორის, ამიტომ სტუდენტების დეკანის და დასაქმების მენეჯერის სტრატეგიაა, პროაქტიულად შესთავაზონ აგრარული-თავისუფალი უნივერსიტეტის ბრენდის ერთგულ დამსაქმებლებს ამ პროგრამის კურსდამთავრებულები არსებულ ვაკანსიებზე და მათი წარმატების და დამსაქმებლის კმაყოფილების მეშვეობით მოახდინონ ამ მიმართულების პოპულარიზაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • მომსახურებაში ჩართულ პირთა ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები; • ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტების დეკანთან
რეკომენდაციები:
რჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროგრამის პოპულარიზაციას, როგორც მომავალ სტუდენტებსა და მათ მშობლებში, ასევე დამსაქმებლებში. პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, მისი ცნობადობის გაზრდა ხელს შეუწყობს დამსაქმებელთა მხრიდან პროგრამაში ჩართული სტუდენტების ღირსებებისა და უნიკალური პროფესიული თვისებების დანახვას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- სტუდენტები ყოველდღიურ რეჟიმში იღებენ უკუკავშირს პროფესორ-მასწავლებლებისგან როგორც პირადი, ასევე ელექტრონული კონსულტაციების საშუალებით, რაც ეხმარება მათ მუდმივად გააუმჯობესონ აკადემიური მოსწრების დონე.
- სტუდენტების დეკანის საქმიანობა ეხმარება სტუდენტებს მუდმივად ჩართულნი იყვნენ უნივერსიტეტის ნებისმიერ აქტივობასა და ღონისძიებაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თავისუფალი მეცნიერებების პროგრამა მხოლოდ საბაკალავრო საფეხურზე ხორციელდება, ამდენად, 3.2. კომპონენტი არ ეხება საბაკალავრო საფეხურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			

4. **სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართული პროფესორები არჩეულნი არიანი ღია აკადემიური კონკურსის საფუძველზე და აკმაყოფილებენ საუ-ის მიერ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სახელდობრ, მათ აქვთ დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და შესაბამისი პროფესიული გამოცდილება. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენტურობა დასტურდება მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, შემოქმედებითი და პრაქტიკული პროექტებით, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური თანამდებობის დაკავებამდე (როგორც აკადემიური, ისე მოწვეული) პერსონალის კვალიფიკაცია მოწმდება არა მხოლოდ კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის, არამედ გასაუბრების/საჩვენებელი ლექციის საფუძველზე.

მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ადეკვატურობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებთან მიმართებაში, რიგ შემთხვევაში, კითხვებს ბადებს. მაგალითად, *ანალების სკოლის ისტორიოგრაფიისა* და *მე-19 საუკუნის ფრანგული რომანის* კურსებს კითხულობს ჟურნალისტის კვალიფიკაციის მქონე პირი, *ვიზუალური და სივრცითი აზროვნების* კურსს — სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები, ხოლო *თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიების* კურსს — ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი.

პროგრამას არ გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ფორმალიზებული სქემა. მაგრამ ვიზიტის განმავლობაში თვითშეფასების ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა, გაცნობოდა პროფესორ-მასწავლებელთან ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებლებს, რომლებიც სხვადასხვაგვარია შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში. ასევე განსხვავდება ერთმანეთისგან თითოეული პროფესორისა და მოწვეული ლექტორის დატვირთვა. პროფესორების შემთხვევაში კვირეული დატვირთვა მერყეობს 5-დან 25 საათამდე, მოწვეული ლექტორების შემთხვევაში კი 1-დან 21 საათამდე. შედეგად, პედაგოგიური დატვირთვა რიგ შემთხვევებში, მაღალია, რის გამოც პროფესურას აღარ რჩება დრო სამეცნიერო/კვლევით საქმიანობისთვის.

თვითშეფასების ჯგუფმა ვერ შეაფასა პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში ჩართულობის დონე, როგორც დასტური იმისა, რომ პერსონალი ჩართულია, მიყვება მათ დარგში არსებულ მიღწევებს და/ან მონაწილეობას იღებს ცოდნის კვლავწარმოებაში (თუ ახალი ცოდნის შექმნაში). უდავოა, რომ საუ-ს აქვს სამეცნიერო/კვლევით მუშაობის მხარდამჭერი პოლიტიკა, რომელიც ფინანსურადაა განმტკიცებული და იძლევა საშუალებას, უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი ჩართული იყოს კვლევებში, სამეცნიერო კონფერენციებში და სხვ. თუმცა, ზოგად საუნივერსიტეტო მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც ჯგუფისთვის იყო ხელმისაწვდომი, ვერ ვიმსჯელებთ ამ კონკრეტულ პროგრამაში ჩართული პერსონალის კვლევით საქმიანობაზე. სასურველია, უნივერსიტეტს

საუ-ს შეეძლოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შესახებ მონაცემების გენერირება პროგრამების დონეზე.

პროგრამა ხორციელდება 2 პროფესორის, 1 ასოცირებული პროფესორის, 2 ასისტენტ-პროფესორისა და 33 მოწვეული მასწავლებლის ჩართულობით. აკადემიური პერსონალიდან თავისუფალ მეცნიერებათა ზოგადი, საბაზო, ძირითადი და არჩევითი ბლოკების კურსების სწავლებაში ჩართულია ერთი პროფესორი. ეს აიხსნება საუ-ში მოქმედიპროგრამების აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით, რომელიც შემუშავებულია დასავლურ ანალოგებზე დაყრდნობით. ამ მეთოდოლოგიის მიხედვითაც, თავისუფალ მეცნიერებათა პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი ურთიერთმიმართება (პროფესორები - 31%, მოწვეული პერსონალი - 69%) და მათი განაწილება საუნივერსიტეტო, ზოგად, საბაზო, ძირითად და არჩევით ბლოკებში განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული პროგრამის ბირთვული ბლოკები უფრო მეტად პრაქტიკულ სწავლებაზეა მიმართული განსხვავებით საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების ბლოკისგან, რომლის საგნებიც უფრო თეორიულია.

აკადემიური პერსონალის რაოდენობრივი მიმართება პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან ამჟამად არის 1:19.1 (5/96), ხოლო მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მიმართება სტუდენტებთან — 1:2.52 (38/96). სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე გაირკვა, რომ სასწავლო პრაქტიკაში არ იგრძნობა სხვაობა პროფესორებსა და მოწვეულ ლექტორებს შორის, რადგან აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური მიდგომების გაერთგვაროვნება უზრუნველყოფილია ტრეინინგებითა და მუდმივი თანამშრომლობითი მუშაობით. ამრიგად, გარკვეული დისბალანსი, რომელიც შეიმჩნევა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობებს შორის (1:6.6 (5/33)), უარყოფითად არ მოქმედებს პროგრამის მდგრადობაზე მით უფრო, რომ მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ძალზე დაბალია.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ პროგრამის განვითარებასა და მის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში (მოხალისეობრივი სამუშაოები, ართ-უიქენდები, გამოფენები, სპექტაკლები და სხვა). ამგვარ ღონისძიებებში ისევე, როგორც პროგრამის განვითარებაში მონაწილეობს პროგრამის ხელმძღვანელიც, რომლის კვალიფიკაციაცა და გამოცდილებად სათანადოდ ფართოა თავისუფალ მეცნიერებათა პროგრამის შემუშავებისთვის. პროგრამის სტუდენტების თქმით, იგი რეგულარულად ხვდება მათ და, ინდივიდუალურად მუშაობს მათთან.

პროგრამის სტუდენტებს ემსახურება სათანადო რაოდენობისა (26) და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებთანაც ყოველდღიური კავშირი აქვთ და ყოველმხრივ ცდილობენსტუდენტების საჭიროებებისა თუ ინტერესების გათვალისწინებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით ეფექტური ჩანს სტუდენტების დეკანის არსებობა, რომელიც სწრაფად რეაგირებს სტუდენტთა შეტყობინებებზე, მზად არის, მოკლე ვადაში შეხვდეს მათ, საჭიროების შემთხვევაში უშუამდგომლოს ადმინისტრაციასთან, ან სხვა სახით დაეხმაროს მათ. ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობით კმაყოფილება იკითხება საუ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვების ანგარიშშიც, რომლის მიხედვითაც, გამოკითხულთა 40%

სრულად და 45% ნაწილობრივ კმაყოფილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციით და ამბობს, რომ მისი პრობლემების გადაჭრა ეფექტიანად, სწრაფად და სამართლიანად ხდება; 84% კმაყოფილია დეკანის საქმიანობით; 93%-ს მიაჩნია, რომ დეკანთან კომუნიკაცია მარტივია; 85%-ის აზრით, დეკანი სამართლიანია მისი განცხადების განხილვის დროს; ხოლო 92% ფიქრობს, რომ დეკანი მის განცხადებას განიხილავს დროულად და დაინტერესებულია პრობლემის გადაწყვეტით. პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება იგივეს ადასტურებს, რომ მათი ადმინისტრაციულ რგოლთან ურთიერთობა უშუალოა; განსაკუთრებით აღნიშნავენ სტუდენტების დეკანის მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის პირადი საქმეები • აკადემიური კონკურსის განაცხადის ნიმუში: http://agruni.edu.ge/sites/default/files/u113/ak.pdf • შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები • საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა (ქვეთავი 8.5.) • პროფესორ-მასწავლებლების ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებლები • ჩატარებული გამოკითხვის შედეგები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: საუ-მა უნდა უზრუნველყოს, რომ თავისუფალ მეცნიერებათა პროგრამაში მოწვეულ პერსონალს ჰქონდეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელიცოდნა, გამოცდილება და კომპეტენციები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, პროგრამის ბირთვულ კურსებს კითხულობდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე პროფესორი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მდგრადობა. ამით შემსუბუქდებოდა პროფესორის პედაგოგიური დატვირთვაც და მას დარჩებოდა მეტი დრო კვლევითი და სხვა საქმიანობისთვის. - სასურველია, საუ-ს შეეძლოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შესახებ მონაცემების გენერირება პროგრამების დონეზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): • აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა საჩვენებელი ლექციის საფუძველზე
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საუ-ის ადმინისტრაცია სისტემატურად ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასებას და იყენებს მის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, ერთ-ერთი ამგვარი შეფასების შედეგად ერთ-ერთ სასწავლო კურსში შეიცვალა პრეზენტაციების რაოდენობა. ასევე აღინიშნა, რომ მუდმივად იცვლება შეფასების მეთოდები. ვიზიტის დროს თვითშეფასების ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა, გაცნობოდა თავისუფალ მეცნიერებათა პროგრამაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგებს. ინტერვიუების საფუძველზე კი გაირკვა, რომ საუ-ში არსებობს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით ზრუნავს სასწავლო პროცესის სუსტი მხარეების გამოსწორებაზე და ამ მიზნით ყოველ სემესტრში ატარებს შეხვედრებსა და ტრეინინგებს აკადემიურ პერსონალთან. იგი ასევე ატარებს სილაბუსის შემუშავებასთან, სწავლების თანამედროვე მიდგომებთან (მაგალითად, მუდლის პლატფორმის გამოყენებასთან) და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებულ ტრეინინგებსა და საორიენტაციო შეხვედრებს ახლად არჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რათა ამით ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში. აღსანიშნავია, რომ

ეს პოზიცია 2016 წლის შემდეგ შეიქმნა უნივერსიტეტში, ამდენად ზემოხსენებული ხელშეწყობის მექანიზმების გამოყენების შეფასება ჯერ არ არის შესაძლებელი.

თვითშეფასების ჯგუფის ვიზიტის დროს საუ-ის მიერ წარმოდგენილი იყო ასევე მეცნიერის ყოველწლიური აქტივობის შეფასების სქემა, რომლიდანაც ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვა სასწავლოსთან ერთად მოიცავს სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვასაც, როგორებიცაა გრანტების მოპოვება, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და ფართის ათვისება, Impact Factor-იან ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება, წიგნების, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოქვეყნება და დოქტორანტების ხელმძღვანელობა. თუმცა აშკარაა, რომ მეცნიერის პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი ჯერჯერობით პილოტირების საფეხურზეა. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ითქვა, რომ საუ-ის ადმინისტრაცია ითვალისწინებს პერსონალის შეფასების შედეგებს მის წასახალისებლად, მაგრამ პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების კონკრეტული მექანიზმი, როგორც ჩანს, ჯერ არ არის შემუშავებული.

ტრეინინგებსა და ვორკშოპებთან ერთად საუ ხელს უწყობს თავისი აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მათთვის, მაგალითად, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის თანადაფინანსებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ტიპიური ანგარიშის მაგალითისადაპტირებული ვერსია
- აგრარულიუნივერსიტეტისხარისხისუზრუნველყოფისმექანიზმებისაღწერადამათიე ფექტიანობისშეფასება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება და ხარისხის უზრუნველყოფისმექანიზმები
- მეცნიერის ყოველწლიური აქტივობის შეფასების სქემაინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, არსებობდეს აკადემიური პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების გამჭვირვალე და სამართლიანი მექანიზმი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელთა განახლების შესახებაც სტუდენტებს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია საუნივერსიტეტო ელ-ფოსტით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მტკიცებით, ბიბლიოთეკა ყოველთვის მზადაა, შეიძინოს სილაბუსით განსაზღვრული და ნებისმიერი სხვა საჭირო ლიტერატურა. ხოლო უნივერსიტეტის მასშტაბით გამოკითხულ სტუდენტთა 83% ამბობს, რომ ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. იმავე გამოკითხვის მონაცემებით, სტუდენტების 56%-ს არ ჰქონია შემთხვევა, როცა სილაბუსში მითითებული წიგნი არ აღმოჩენილა ბიბლიოთეკაში. მიუხედავად იმისა, რომ საუ-ში ამჟამად უკვე ხელმისაწვდომია Elsevier-ის საერთაშორისო ელექტრონული ბაზა, პროგრამის სტუდენტების მიერ მისი გამოყენება არ დადასტურდა. მათი მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ თავისუფალ მეცნიერებათა პროგრამის ვიზუალურ ხელოვნებასთან დაკავშირებული კურსებისთვის ტექნიკური აღჭურვილობა განახლდეს. ტექნიკური ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლების საჭიროებას აშკარად აცნობიერებს და, სავარაუდოდ, ყოველწლიურად ცდილობს საუ-ის ადმინისტრაციაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი • უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი საერთაშორისო ელექტრონული ბაზების შესახებ და იყენებდნენ მათ სასწავლო პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თავისუფალ მეცნიერებათა პროგრამას არ გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი. პროგრამის ხარჯები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მთლიან ბიუჯეტში, რომლის მდგრადობაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. უნივერსიტეტის გონივრულიფინანსური პოლიტიკა, დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროები, არსებული ე.წ. ფინანსური ბალიში, გამართული ბიუჯეტირების პროცესი პროცედურები უზრუნველყოფს საუ-ს ფინანსურ მდგრადობას. თავისუფალ მეცნიერებათა საბაკალვრო პროგრამა სუბსიდირებულია უნივერსიტეტის მიერ. პროგრამა უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ამდენად მისი დაფინანსება არ ფერხდება. ოპერაციულ დონეზე, პროგრამის საჭიროებები ყოველი სასწავლო წლის წინ განიხილება კანცლერთან და პრორექტორებთან ერთად. განხილვის და მომდევნო აკადემიური წლის გეგმების შესაბამისად ხდება ინფრასტრუქტურის განახლების, ინვენტარის მომარაგების, დამატებითი აკადემიური პერსონალის მიღების, თუ სხვა საჭირო ხარჯების დაგეგმვა. წლის ბოლოს კი ხდება დაგეგმილი და ფაქტიური ხარჯების და შემოსავლების ანალიზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • საუ-ის ბიუჯეტი • საუ-ის თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საგანმანათლებლო პროცესების და საუნივერსიტეტო გამოცდილების ხარისხის უზრუნველყოფას ორი მიდგომით ახორციელებს: პროაქტიული და რეაქტიული. პირველი გულისხმობს ფორმალურად შეთანხმებული, სისტემატიური სახისდიაგნოსტიკური ინსტრუმენტების გამოყენებას. მეორე კი გულისხმობს დაუგეგმავი, საჭიროებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროცესებში წამოჭრილი გამოწვევების საპასუხოდ შემუშავებულ ინტერვენციებს. პროაქტიული მიდგომის ფარგლებში, პროგრამის შეფასება ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტთა გამოკითხვის ფორმით და პროგრამის აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის მიმდინარეობის ანალიზით, ხოლო ფინანსური მდგრადობის ანალიზი ყოველწლიურად ხდება. რეაქტიული მიდგომის ფარგლებში, პროგრამის მიმდინარეობის თვალყურის დევნება ხდება ყოველდღურ სამუშაო რეჟიმში უნივერსიტეტის სხვადასხვა რგოლის - სტუდენტების დეკანის, პრორექტორ(ებ)ის, პროგრამის კოორდინატორის, ხელმძღვანელის, პროფესიული განვითარების მენეჯერის თუ სხვათა მიერ და პრობლემის იდენტიფიცირების შემთხვევაში ხდება მასზე რეაგირება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომლის მიხედვით უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული პირდაპირ მონაწილეობს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულია. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე. უნივერსიტეტის ხედვაა შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის ე.წ. „თხელი სტრუქტურა“, რაც აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს თავიდან არიდებს ზედმეტ ბიუროკრატიას და უზრუნველყოფს აკადემიურ თავისუფლებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება ხარისხის განვითარების, სრულყოფის, პერსონალთან და სტუდენტებთან ღია თანამშრომლობის პრინციპებს. უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული, სამსახურები, აკადემიური პერსონალი ჩართულია გუნდურ სამუშაოში და ერთად ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, თანხმდება ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტულ მექანიზმებზე და ნერგავს მას. ზოგადად, ხარისხის უზრუნველყოფის სქემაში ჩართულია ყველა სტრუქტურული ერთეული საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მათ შორის: სკოლის/ფაკულტეტის კოორდინატორები, სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური,

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში, პრორექტორი სასწავლო პროცესების მართვის საკითხებში, სტუდენტების დეკანი. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ საუ-ში ტარდება სხვადასხვა საჭროების კვლევა, რომელთა ანალიზის შედეგებს სამსახური აქტიურად იყენებს პროგრამაში ცვლილებების განსახორციელებლად. ჯამში, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გამართულია და სანდო, იმდენად რამდენადაც ეყრდნობა არა მხოლოდ ფორმალიზებულ პროცედურებს, არამედ არაფორმალიზებულ პროცესებს, რომელიც უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის ნაწილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ • ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში) ხარისხის კულტურა, რომელიც ეყრდნობა მცირე ბიუროკრატიის პრინციპს და გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტებისინტეგრირებას საგანამანათლებლო პროცესში ჩართული რგოლების ყოველდღიურ მუშაობაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს საუნივერსიტეტო დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი. იმდენად რამდენადაც პროგრამის მონიტორინგის შიდა მექანიზმი უნივერსიტეტში გამართულია და პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ რეგულარულად ხდებოდა მისი მოდიფიცირება-გაუმჯობესება. ხელახალი აკრედიტაცია, ამ შემთხვევაში, აკუმულირებული ცვლილებების ვალიდაციის საშუალებას წარმოადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გარე ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად შესაძლებელია განხილული იყოს პროგრამის შეფასება უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ, რაც საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებას იძლევა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის და შეფასების ყველაზე აქტიური ფორმაა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებების მოკრება და შეჯერება

გროვდება და ანალიზდება კვლევის მასალები, ხოლო შედეგები გამოიყენება პროგრამებში ცვლილებების გასახორციელებლად.

პროგრამების მონიტორინგის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. მოქმედებს PDCA ციკლის სქემა და შეფასების შედეგები დინამიურად აისახება პროგრამებში. კომპეტენციების რუკის დახმარებით იზომება კონკრეტული სასწავლო კურსის წვლილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ამავე დროს, კომპეტენციების რუკა აჩვენებს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტურობის და განხორციელებადობის გასაზომად.

რაოდენობრივი ანალიზის საგანს უნივერსიტეტში წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრების (ქულების), ჩარიცხვების, მობილობის, კურსის დამთავრების, დასაქმების მაჩვენებლები. ტენდენციების გამოკვეთის, გაანალიზებისა და დასკვენის საფუძველზე ხოციელდება მიზეზების დადგენა და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	X			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
ელენე ჯიბლაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>
ნინო ღაღანიძე

ნანა იაშვილი

ლევან ცაგარელი

თეონა კუპრაძე